



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაკულია ეთერ ირაკლის ასული



ე. კაკულია

კაკულია ეთერ ირაკლის ასული (29. XI. 1942, თბილისი, – 26. VI. 2015, იქვე), საესტრადო მომღერალი. საქართველო. არტისტი (1983). 1965 დაამთავრა თსუსი დას. ევროპის ენისა და ლიტერის ფაკ-ტი გერმანული ენის სპეციალობით. სტუდენტობის პერიოდში კ. აქტიურად ჩაერთო თსუსის თვითშემოქმედებაში და უნ-ტის საესტრადო ორკესტრის სოლისტი გახდა. 1969 მიიწვიეს სპი-ის საესტრადო ორკესტრში (ხელმძღვ. – ს. ტულუში) სოლისტად. 1964-იდან იგი იყო ფილარმონიის, 1975-იდან საქართველო. სახელმწ. ორკესტრ „რეროს“ (ხელმძღვ. – კ. პევეზერი), ხოლო 1986-იდან საქართველო. ტელერადიოს სოლისტი. კ-ის მიერ შესრულებული სიმღერებიდან აღსანიშნავია ვ. აზარაშვილის

„მზე ჩემი კარგი მეგობარია“, ა. ბუკიას „ჭაღარა“, ი. ბობოხიძის „ცირა“, ი. გურგულიას „უშენოდ“, ე. ჭელიძის „თბილისის ქუჩები“, ნ. დულაშვილის „გამიფრთხილდი, გამიფრთხილდი“, „შენი თვალები“, რ. სებისკვერადის „მხარე ლამაზი“ და სხვ. გასტროლებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მ. შ. საფრანგეთი, ინგლისი, ჩეხეთი, გერმანია, უნგრეთი, ბულგარეთი, ფინეთი, შვედეთი, ნორვეგია, დანია, ჰოლანდია და სხვ. კ. იყო ბალტიისპირეთის საკავშირო ფესტივალისა (1980) და პოლონეთის ფესტივალ „კაპონეს“ (1982) ლაურეატი. მიღებული აქვს საქართველო. ფესტივალ „მეგა-2009-ის“ სპეც. პრიზი ნომინაციაში „ყველა თაობის საყვარელი მომღერალი“. 2015 თბილისის საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა კ-ს ვარსკვლავი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000).

